საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს

გადაწყვეტილება №08

2011 წ. „25“ 01.

ქ. თბილისი

შპს - ევროპული საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტის თვითშეფასების ანგარიშისა და ავტორიზაციის ექსპერტების დასკვნის განხილვის გადადების შესახებ

საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2011 წლის 25 იანვრის №2 სხდომის ოქმის შესაბამისად, დაინტერესებული მხარის შუამდგომლობის საფუძველზე,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. დაკმაყოფილდეს შპს - ევროპული საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტის შუამდგომლობა საბჭოს მიერ განსაზღვრული პირობებით და შპს - ევროპული საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტის თვითშეფასების ანგარიშისა და ავტორიზაციის ექსპერტების დასკვნის განხილვა გადაიდოს 2011 წლის 4 აპრილამდე.

2. საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2011 წლის 25 იანვრის №2 სხდომის ოქმის მე-5 ნაწილი ცნობილ იქნას ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.

3. საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6.

საბჭოს თავმჯდომარე

კახი ყურაშვილი

საბჭოს მდივანი

გაიანე სიმონია